



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№88 2013 წლის 25 აპრილი ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ზავშეზე ზრუნვის 2013 წლის
სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №74 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავშეზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №74 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/04/2013, 010240000.10.003.017238) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავშეზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის“ :

1. დანართი 1.5-ის (დღის ცენტრების ქვეპროგრამა):

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
№	49804	
"26"	04	2013წ.
2		

„ბ) 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებშიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან მინდობით აღზრდის ანაზღაურებას. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 971-ს.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამის დაფინანსების წესი და პირობები განისაზღვრება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილებით. ამასთან, ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, ბენეფიციარებს, რომლებიც დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობდნენ 2013 წლის მარტში მომსახურების დაფინანსება გაუგრძელდებოდათ იგივე პირობებით, რომლითაც ფინანსდებოდნენ 2013 წლის მარტში.

3. ვაუჩერის ტალონები გაიცემა რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვიდან ბავშვის, მათ შორის შშმ ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით თვეებზე, შშმ პირებზე შშმ სტატუსის მოქმედების ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით თვეებზე, ამასთან, დღის ცენტრში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად, მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღზრდელს არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღე-

ზის მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით. შშმ სტატუსის დადგენის შემთხვევაში, მათ ავტომატურად გაუზრმელებათ ვაუჩერის მოქმედების ვადა.“;

გ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვაუჩერის გაცემა წარმოებს არა უმეტეს ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სამიზნე ჯგუფების მიხედვით დაწესებული ერთდროულად მოქმედი ვაუჩერების შემდეგი ლიმიტებისა, რომლის ცენტრალიზებულ კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო. ამასთან, ვაუჩერი მოქმედებს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელზედაც იქნა გაცემული.

№	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები
1	ქ. თბილისი	170	435 (მ.შ. არანაკლებ 180 შშმ ბავშვი)
2	ქ. ქუთაისი	50	90 (მ.შ. არანაკლებ 40 შშმ ბავშვი)
3	ქ. რუსთავი	56	52 (მ.შ. არანაკლებ 12 შშმ ბავშვი)
4	ქ. ხათუმი	-	41
5	გორის მუნიციპალიტეტი	65	30
6	ქარელის მუნიციპალიტეტი	-	15
7	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	-	21
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	35	16
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	-	40
10	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	30	25
11	თელავის მუნიციპალიტეტი	-	51(მ.შ. არანაკლებ 20 შშმ ბავშვი)
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	-	33
13	ფოთი	-	28
14	ბაშური	-	25
15	ზუგდიდი	-	14
16	საგარეჯო	-	15
17	ჩხოროწყუ	-	20
18	მცხეთა	-	20
19	თიანეთის მუნიციპალიტეტი	30	-
20	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	30	-

21	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	50	-
22	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	30	-
23	ასპინძის მუნიციპალიტეტი	10	-
24	ახმეტა	30	- „

2. დანართი 1.6.1-ის (სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფის კომპონენტი) მე-2 მუხლის:

- ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „ბ) საჭიროების შემთხვევაში – სავარძელ-ეტლთან ერთად ნაწოლებისგან დამცავი სპეციალური ბალიშის გაცემა;
 გ) სავარძელ-ეტლების გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა“;

ბ) „ვ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.ა) მენჯისა და გვერდითა დამჭერების, მხრების ქამრის, ფეხის დამჭერი ქამრის, თავის დამჭერის, ტერფის კორექტორის, მაგიდის და ხელის დასადების დამონტაჟება. მართვის პულტი უნდა მონტაჟდებოდეს ბენეფიციარის შესაძლებლობისა და საჭიროებების მიხედვით; ასევე, სავარძელ-ეტლების გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება“ .

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ზიძინა ივანიშვილი